კავკასიის უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა

შ რ ო მ ი ს უ ს ა ფ რ თ ხ ო ე ბ ი ს მ ე ნ ე ჯ მ ე ნ ტ ი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Occupational Safety Management
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური
სწავლების ენა	
	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი	
ნაწილი I	
ქართულად:	პროფესიული უსაფრთხოების მაგისტრი 1022
ინგლისურად:	Master in Occupational Safety 1022
ნაწილი I	
ქართულად:	კვლევის მაგისტრი პროფესიულ უსაფრთხოებაში
ინგლისურად:	Research Master in Occupational Safety
პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	
	9 მარტი 2021 წელი 26 ივნისი 2026 წელი
პროგრამის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი	
	ხელმძღვანელი: პროფესორი, ოთარ ქარჩავა თანახელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, შოთა ნიჟარაძე
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

პროგრამის პირველი ნაწილით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 60 ECTS[1] კრედიტის ათვისება. სწავლების სტანდარტული ვადაა ერთი, ხოლო დასაშვები ხანგრძლივობა ორი წელი.
პროგრამის პირველი ნაწილი სტრუქტურა:
<u>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (54 ECTS)</u>
- სავალდებულო სასწავლო კურსები - 42 ECTS
- არჩევითი სასწავლო კურსები - 12 ECTS

<u>თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (6 ECTS)</u>
- თავისუფალი კრედიტები - 6 ECTS

პროგრამის მეორე ნაწილით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის ათვისება. სწავლების სტანდარტული ვადაა ერთი, ხოლო დასაშვები ხანგრძლივობა სამი წელი.
პროგრამის მეორე ნაწილის სტრუქტურა:
<u>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (54 ECTS)</u>
- სავალდებულო სასწავლო კურსები - 12 ECTS
- არჩევითი სასწავლო კურსები - 12 ECTS
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS

<u>თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (6 ECTS)</u>
- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი - 6 ECTS

[1] 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

პროგრამის დახასიათება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამის პირველ ნაწილზე ჩარიცხვის წინაპირობაა:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.
- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.
  - საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.
  - პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან ზეპირი გამოცდის წარმატებით გავლა.

გამოცდების საკითხები და შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე ჩარიცხვის წინაპირობაა:

- მაგისტრის ხარისხი პროფესიული (შრომის) უსაფრთხოების მიმართულებით.
- კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან ზეპირი გამოცდის წარმატებით გავლა.

გამოცდების საკითხები და შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანები

შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია:

- სტუდენტს მისცეს შრომის უსაფრთხოებაში კვლევებზე და საერთაშორისო გამოცდილებებზე დაფუძნებული სიღრმისეული და სისტემური ცოდნა;
- მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დონის სპეციალისტი პროფესიული უსაფრთხოების მენეჯმენტში საწარმოო პროცესებში არსებული რისკფაქტორების სწორი შეფასების უნარით, საგანგებო და ექსტრემალური სიტუაციების მართვის თანამედროვე მეთოდების ღრმა ცოდნით და კონკრეტული პრობლემების ანალიზისა და მათი გადაჭრისთვის საჭირო ოპტიმალური აქტივობების შერჩევის უნარით;

შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია:

- მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დონის სპეციალისტი პროფესიული უსაფრთხოების მენეჯმენტში საწარმოო პროცესებში არსებული რისკფაქტორების სწორი შეფასების უნარით, საგანგებო და ექსტრემალური სიტუაციების მართვის თანამედროვე მეთოდების ღრმა ცოდნით და კონკრეტული პრობლემების ანალიზისა და მათი გადაჭრისთვის საჭირო ოპტიმალური აქტივობების შერჩევის უნარით;
- განუვითაროს კონკრეტული მიმართულების საწარმოში შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის დამოუკიდებლად კვლევის, ანალიზისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის საჭირო გზების და მეთოდების სწორი შერჩევის უნარი.

პროგრამის სწავლის შედეგები

შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

1. აღწერს ორგანიზაციების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებებს, იყენებს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის მექანიზმებსა და მეთოდებს;
2. გეგმავს შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს საწარმოში არსებული ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით რისკების ანალიზის და შეფასების თანამედროვე მეთოდების საფუძველზე;
3. განსაზღვრავს საწარმოში მავნე და სახიფათო საწარმოო ფაქტორებს და აფასებს საწარმოო პერსონალზე მათი პოტენციური გავლენას;
4. გეგმავს შრომის ოპტიმალური პირობების შექმნისთვის აუცილებელ ღონისძიებათა სისტემას და განსაზღვრავს შესაბამისი კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებსა და სხვა პრევენციულ ღონისძიებებს;
5. უზრუნველყოფს საგანგებო პირობებში და ექსტრემალურ სიტუაციებში პერსონალის უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებელ ღონისძიებათა ოპტიმალური გეგმის შედგენასა და რეალიზებას;
6. აფასებს და სხვებს უზიარებს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

1. აღწერს ორგანიზაციების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებებს, იყენებს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის მექანიზმებსა და მეთოდებს;
2. აანალიზებს პროფესიული დავადებების და უბედური შემთხვევების სტატისტიკურ მონაცემებს და პერსონალზე სამუშაო პირობების უარყოფითად ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით გეგმავს შესაბამის პროფილაქტიკური ღონისძიებებს;
3. აფასებს და სხვებს უზიარებს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

დასაქმების სფეროები

პროგრამის I ნაწილის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო ან კერძო დაწესებულებაში, საკონსულტაციო კომპანიაში, საპროექტო და დეველოპერულ ორგანიზაციაში, მომსახურების სექტორში, მომეტებული საფრთხის, მძიმე და სიშიშროებებიანი საქმიანობის მწარმოებელ ორგანიზაციებში, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ობიექტზე, გადამამუშავებელ საწარმოში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში შემდეგ პოზიციებზე: შრომის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მრჩეველი, მოადგილე შრომის უსაფრთხოების საკითხებში, ზედამხედველი, კონსულტანტი, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერი.

პროგრამის II ნაწილის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მკვლევარის, ექსპერტი, ლექტორის პოზიციებზე.

სწავლის გაგრძელების საშუალება
✚ პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლის გაგრძელება 120 ECTS კრედიტის მოცულობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე, პროფესიული (შრომის) უსაფრთხოების მიმართულებით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. ✚ სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლის გაგრძელება ნებისმიერ სადოქტორო პროგრამაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის სასწავლო გეგმა (პირველი ნაწილი)

№	კოდი	წინა პირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი		ECTS
				I		
				სემესტრი		
				I	II	
ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები						
სავალდებულო სასწავლო კურსები - 42 ECTS						
1.	MNG 5140.11		სტრატეგიული მენეჯმენტი	×		6
2.	OSH 5141.11		შრომის უსაფრთხოების ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციები	×		6
3.	OSH 5142.11		შრომის ჰიგიენა და საწარმოო სანიტარია	×		6
4.	OSH 5143.11		სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოება	×		6
5.	OSH 5241.11		საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება		×	6
6.	OSH 5242.11		შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია		×	6
7.	OSH 5243.11	OSH 5143.11	საგანგებო სიტუაციების მართვა		×	6
არჩევითი სასწავლო კურსები - 12 ECTS						
8.	SOPL 5140.11		სოციალური პოლიტიკა	×		6
9.	HRM 5341.11		ადამიანური რესურსების მართვა	×		6
10.	PM 5241.11		პროექტის მართვა		×	6
11.	OSH 5244.11		შრომის უსაფრთხოება მომსახურების სექტორში		×	6
12.	OSH 5344.11		შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში		×	6
თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები						
თავისუფალი კრედიტები - 6 ECTS						
13.			თავისუფალი კრედიტი[2]	×		
ECTS კრედიტები			სემესტრში	30	30	
			წელიწადში	60		

[2] სტუდენტს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში შეუძლია შეისწავლოს უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ან/და ამავე პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები.

პროგრამის სასწავლო გეგმა (მეორე ნაწილი)

№	კოდი	წინა პირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი		ECTS
				I		
				სემესტრი		
				I	II	
ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები						
სავალდებულო სასწავლო კურსები -42 ECTS						
1.	STAT 5340.21		სტატისტიკა მენეჯერებისთვის	x		
2.	OSH 5342.21		გარემოს დაცვა	x		
3.	MTH 5441.21	WRT 5340.21	სამაგისტრო ნაშრომი		×	30
არჩევითი სასწავლო კურსები - 12 ECTS						
4.	BUSA 5240.21		ბუღალტერია და ფინანსები	×		6
5.	MNG 5340.21		გადაწყვეტილების მიღების თეორია	×		6
6.	OSH 5245.21		შრომის უსაფრთხოება აგროსექტორში	×		6
7.	OSH 5343.21		შრომის უსაფრთხოება გეოლოგიაში	×		6
8.	OSH 5345.21		შრომის უსაფრთხოება ქიმიურ წარმოებაში	×		6
თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები						
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი - 6 ECTS						
9.	WRT 5340.21		აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	×		6
ECTS კრედიტები			სემესტრში	30	30	
			წელიწადში	60		